ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ე.ტ. №_____-18

თბილისი **___ __.2018 წ.**

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი ----------სახით(შემდგომში - შემსყიდველი) და მეორე მხრივ, **შპს „_____“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის **(ან უფლებამოსილი წარმომადგენლის) _____** სახით, (შემდგომში - მიმწოდებელი), ერთობლივად წოდებული მხარეებად,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 16[1] მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის _____ წლის ___ _____№_____ განკარგულებისა **(არსებობის შემთხვევაში)** და შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (---_____) საფუძველზე, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ, _____ განხორციელება (შემდგომში - სამუშაო).

1.2. CPV -

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს _____ (_____) ლარს.

2.2. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საბანკო რეკვიზიტებზე.

2.3. ანგარიშსწორებისას მიმწოდებელი ვალდებულია ყოველ თვე წარმოადგინოს, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მთლიანი და ჯამური (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით) ღირებულება საანგარიშო პერიოდისა და ნაზარდი ჯამის ჩვენებით.

2.4. ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების და დადასტურებული მოცულობების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) გაფორმების, შემსყიდველის მიერ გადახდის სერთიფიკატისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

2.5. მიმწოდებლის სათანადო წერილობითი თხოვნის საფუძველზე, შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს შუალედური გადახდები მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად წარმოდგენილი, მიღება-ჩაბარებისა და ანგარიშსწორებისთვის განსაზღვრული სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

2.6. მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა ავანსის გაცემასთან დაკავშირებით, თუ იგი არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში, მის მიმართ არ არის რეგისტრირებული საგადასახდო გირავნობა ან/და ყადაღა. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტები, რომლითაც დადასტურდება მის მიმართ ამ პუნქტში განსაზღვრული ვალდებულებების რეგისტრაციის არ არსებობა.

2.7. შემსყიდველის მიერ ავანსის გაცემასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული გასაცემი ავანსის ოდენობის უპირობო საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში უნდა იყოს გასაცემი ავანსის დაქვითვამდე.

2.8. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი რეგისტრირებულია თეთრ სიაში, საავანსო საბანკო გარანტია წარმოდგენილ უნდა იქნას გასაცემი ავანსის ნახევრის ოდენობის თანხაზე.

2.9. მიმწოდებელზე გასაცემი საავანსო თანხა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ღირებულების 20 პროცენტს.

2.10. შემსყიდველის მიერ გაცემული ავანსის დაკავება მოხდება ქვემოთ მოყვანილი წესის თანახმად:

$$Z = \frac{A*(X\%-Y\%)}{70 - 20}$$

Z = არის გამოსაქვითი თანხა საანგარიშო პერიოდში;

A = წარმოადგენს გადარიცხული ავანსის თანხას;

X = წარმოადგენს საანგარიშო პერიოდისთვის შესრულებული სამუშაოთა შეფარდებას საწყის საკონტრაქტო ღირებულებასთან, გამოხატულს პროცენტებში. ეს მონაცემი არ აღემატება 70%-ს.

Y = არის (X) წინა პერიოდისათვის.

2.11. შემსყიდველი უფლებამოსილია, აამოქმედოს ავანსის უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი საბანკო გარანტია, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული გარანტიის ვადის განახლებას ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.7. პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად ან/და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თუკი შეწყვეტის მომენტისათვის მიმწოდებელს არა აქვს დაქვითული გაცემული ავანსი ან მისი ნაწილი.

2.12. ავანსის სახით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ, ხელშეკრულების 2.7. პუნქტით გათვალისწინებული უპირობო საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდგომ.

2.13. ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ შესრულებული სამუშაოების, მათ შორის შემსყიდველთან შეთანხმებული შესრულებული გაუთვალისწინებელი სამუშაოების ღირებულება, რომლის მოცულობასა და ხარისხზე არსებობს უშუალოდ შემსყიდველის და საამისოდ შერჩეული პირის, ზედამხედველის - უცხოური საწარმოს ფილიალი „სს ინსტიტუტი იგჰ, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში“ მიერ დადასტურებული აქტი.

2.14. გაუთვალისწინებელი სამუშაოების თანხების ხარჯვა მოხდება აუცილებლობიდან გამომდინარე, შემსყიდველთან შეთანხმებით.

2.15. იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო, მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეულის ფასების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია სამუშაოთა აუთვისებელ მოცულობების შესრულებაზე და მის გადახდაზე.

2.16. შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის საგარანტიო ვადა შეადგენს 2 (ორი) წელს სამუშაოს მიღებიდან, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა.

2.17. სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ ყოველი შესრულებიდან დაკავებული იქნება შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5%, რომლის ნახევრის (2,5%) დაბრუნება მოხდება სამუშაოს სრული დასრულებისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 10 იანვრის N1-1/23 ბრძანების შესაბამისად შემსყიდველის მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ შედგენილი ობიექტის ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის მიერ აქტის შედგენისას დაფიქსირებული იქნება შესრულებული სამუშაოს ნაკლი ან უხარისხობა, მიმწოდებელს აღნიშნული თანხა არ აუნაზღაურდება დეფექტების გამოსწორებამდე.

2.18. იმ შემთხვევაში თუ, სხვადასხვა მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ან უარს აცხადებს ამ მუხლი 2.17 პუნქტში განსაზღვრული კომისიის მიერ აქტში დაფიქსირებული დეფექტების აღმოფხვრასთან დაკავშირებით, შემსყიდველი ობიექტზე ზედამხედველთან ერთად

შეაფასებს დეფექტების აღმოფხვრისათვის ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულებას და მიმწოდებელს არ აუნაზღაურებს აღნიშნულ თანხას შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული თანხიდან. თუ დეფექტების აღმოფხვის ხარჯისათვის საჭირო თანხა აღემატება დაკავებული ხარისხის უზრუნველყოფის თანხას, შემსყიდველი დამატებით დააკისრებს მიმწოდებელს ზემოაღნიშნული განსხვავების გადახდას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.19. შემსყიდველი უფლებამოსილია ობიექტის მიღების აქტის გაფორმებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული თანხიდან 2.5%-ის გადახდის შემდგომ, დარჩენილი 2.5%-ი დაუბრუნოს მიმწოდებელს მხოლოდ დასაბრუნებელი თანხის ოდენობის საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე, რომელიც ძალაში იქნება სრული საგარანტიო პერიოდის განმავლობაში. იმ შემთხვევაში თუ, საგარანტიო პერიოდის განმავლობაში ობიექტზე გამოვლენილი დეფექტების გამოსწორებას მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ან უარს აცხადებს მათ აღმოფხვრაზე, შემსყიდველი ობიექტზე ზედამხედველთან ერთად შეაფასებს დეფექტების აღმოფხვრის ხარჯს და უზრუნველყოფს წარმოდგენილი საბანკო გარანტიიდან თანხის მოთხოვნას მის პროპორციულად. თუ დეფექტების აღმოფხვის ხარჯისათვის საჭირო თანხა აღემატება საბანკო გარანტიით განსაზღვრულ თანხას, შემსყიდველი დამატებით დააკისრებს მიმწოდებელს ზემოაღნიშნული განსხვავების გადახდას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 3. სამუშაოს შესაბამისობა

3.1. ამ ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა შესრულდეს ჯეროვნად, საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების, მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების, გარემოზე ზემოქმედების შეფასების, მათ შორის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნისა და გარემოსდაცვის მართვის გეგმის მოთხოვნებისა და პირობების (მათი არსებობის შემთხვევაში), მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტებისა და შემსყიდველის მოთხოვნების შესაბამისად.

3.2. ამ მუხლის 3.1. პუნქტში აღნიშნული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

3.3. სამუშაოები უნდა შესრულდეს ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1 პუნქტის 5.1.3 ქვეპუნქტით დადგენილი ვადების შესაბამისად წარმოდგენილი და შესაბამისი დანართის გაფორმების შედეგად, ხელშეკრულებაზე თანდართული სამუშაოების შესრულების გრაფიკის მიხედვით.

მუხლი 4. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

4.1. სამუშაოს მიღება ხორციელდება ამ ხელშეკრულების პირველი მუხლით აღნიშნულ ადგილზე.

4.2. ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოების მიღება განხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის არაუგვიანეს ბოლო რიცხვისა.

4.3. მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოები ყოველთვიურად მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) გაფორმებისა და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის დადასტურების შემდეგ.

4.4. შემსყიდველი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ სამუშაოების წარმოების პროცესში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულებულ სამუშაოებს (ფორმა №2) ჩაუტაროს ექსპერტიზა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ ან შესაბამის სფეროში აკრედიტებული სხვა პირის მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუ საექსპერტო დასკვნასა და შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს (ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) შორის აღმოჩნდება ცდომილება, მიმწოდებელი ვალდებულია, აუნაზღაუროს შემსყიდველს აღნიშნულ საექსპერტო მომსახურებაზე გაწეული ხარჯები.

4.5. ამ ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას ახორციელებს შემსყიდველის მიერ უშუალოდ საამისოდ შერჩეული პირი - უცხოური

საწარმოს ფილიალი სს „ინსტიტუტი იგჰ, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში“ (შემდგომში - ზედამხედველი), რომელიც ადგილზე ამოწმებს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ობიექტზე ყოველ თვიურად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობასა და ხარისხს.

4.6. ამ ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულებიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა მიმწოდებელი ატყობინებს შემსყიდველსა და საზედამხედველო ორგანიზაციას სამუშაოთა დასრულების შესახებ. საზედამხედველო ორგანიზაცია ამოწმებს სამუშაოთა მოცულობას და დადასტურების შემთხვევაში, გადასცემს სათანადო ინფორმაციას შემსყიდველს ამ მუხლის 4.7. პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული წესით კომისიის ჩამოყალიბების მიზნით.

4.7. დასრულებული სამუშაოების მიღება განხორციელდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 10 იანვრის N1-1/23 ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.1.1. სამუშაოს შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1. პუნქტში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;

5.1.2. უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოების დაწყება ხელშეკრულების გაფორმებიდან ---------- კალენდარული დღის განმავლობაში;

5.1.3. ხელშეკრულების გაფორმებიდან ___ კალენდარული დღის განმავლობაში უზრუნველყოს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად სამუშაოების შესრულების გრაფიკის ზედამხედველთან შეთანხმება და შემსყიდველთან წარმოდგენა. წარმოდგენილი გრაფიკით განსაზღვრული ვადები უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ სამუშაოების შესრულების ვადას.

5.1.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები განახორციელოს ამ ხელშეკრულებაზე თანდართული სამუშაოების შესრულების გრაფიკის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან **_____ წლის __ _____ ჩათვლით;**

5.1.5. შემსყიდველთან საგზაო მოძრაობის დროებითი ორგანიზაციის სქემის შეთანხმებამდე და შეთანხმებული სქემით განსაზღვრული ტექნიკური საშუალებებით საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების რეგულირებამდე არ დაიწყოს ისეთი სამუშაოების წარმოება, რომელმაც შეიძლება ზემოქმედება იქონიოს საგზაო მოძრაობაზე;

5.1.6. განათავსოს დროებითი საგზაო ნიშნები, საგზაო მონიშვნა, საგზაო ბარიერები და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებები დამტკიცებული და შეთანხმებული საგზაო მოძრაობის დროებითი ორგანიზაციის სქემის შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში მიიღოს სხვა აუცილებელი ზომები საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, რომლებსაც მოითხოვს სამუშაოები.

5.1.7. უზრუნველყოს საგზაო მოძრაობის დროებითი ორგანიზაციის სქემით განსაზღვრული საგზაო ნიშნების, საგზაო მონიშვნის, ბარიერების და საგზაო მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების სუფთა და თვალსაჩინო მდგომარეობაში არსებობა. იგი ვალდებულია დააყენოს, გადაიტანოს, დაფაროს ან აიღოს ისინი სამუშაოს მიმდინარეობის შესაბამისად შემსყიდველთან და ზედამხედველთან შეთანხმებით.

5.1.8. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საავტომობილო გზაზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის რეჟიმის შეცვლის შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ გადაცემა შემსყიდველის საგზაო მოძრაობის რეგულირების სამსახურისათვის;

5.1.9. წერილობით შეუთანხმოს შემსყიდველს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში დარეგისტრირებული სერტიფიცირებული გარემოსდაცვითი მმართველი, იმ შემთხვევაში თუ კომპანიის სამუშოები წლის განმავლობაში წარმოქმნის ნებისმიერი მოცულობის სახიფათო ნარჩენს, 200 ტონაზე მეტ არასახიფათო და 1000 ტონაზე მეტ ინერტულ ნარჩენს;

5.1.10. 24 საათით ადრე შეუთანხმოს შემსყიდველს ან მის მიერ საამისისოდ შერჩეული პირს - ზედამხედველს დაგეგმილი სამუშოები ყოველდღიურად. იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდება, რომ

დაგეგმილი სამუშაოებიდან რომელიმე კონკრეტული სამუშაოს განხორციელებისათვის არ არის საჭირო დოკუმენტაცია, არაა სათანადო ნებართვა მოპოვებული, ან მათი განხორციელებით შეიძლება ბუნებრივ გარემოზე შუქცევადი ზემოქმედების მოხდება, მიმწოდებელი ვალდებულია სათანადო დოკუმენტაციისა თუ ნებართვის მოპოვებამდე შეაჩეროს აღნიშნული კონკრეტული სამუშაოს განხორციელება და დაუყოვნებლივ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები მათ მოსაპოვებლად;

5.1.11. მიმწოდებელი ყოველი თვის ბოლოს წარუდგენს შემსყიდველს ან მის მიერ საამისოდ შერჩეულ პირს (საზედამხედველო ორგანიზაციას) შესრულებულ სამუშაოს, შემსყიდველ ორგანიზაციაში სამუშაოების მიღების არსებული წესისა და დამტკიცებული ფორმების თანახმად, განსაზღვრულ ვადებში, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

5.1.12. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა შესრულებისას იხელმძღვანელოს „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის, საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის შესახებ ინსტრუქციის, საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების, ამ ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოში მოქმედი შესაბამისი სამშენებლო და გარემოსდაცვითი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების მიხედვით;

5.1.13. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში იქონიოს მუდმივი კავშირი შემსყიდველის საგზაო მოძრაობის რეგულირების სამსახურთან;

5.1.14. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

5.1.15. ამ ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ავანსის თანხა გამოიყენოს ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში განსაზღვრული სამუშაოების შესრულების მიზნით;

5.1.16. ანგარიშსწორებისთვის ყოველთვიურად მიუთითოს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მთლიანი და ჯამური ღირებულება;

5.1.17. სამუშაოების შესრულებაში მონაწილე საინჟინრო-ტექნიკური პერსონალისა და მუშა-მოსამსახურეების შემადგენლობის არანაკლებ 70 პროცენტი დააკომპლექტოს საქართველოს მოქალაქეებით;

5.1.18. შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

5.1.19. უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულება.

5.1.20. მიმწოდებელი ვალდებულია ქვემოთ ჩამოთვლილი, პროექტით გათვალისწინებული უკან დასაბრუნებელი მასალები გადასცეს შემსყიდველს მეორადი გამოყენებისათვის ვარგისი მასალებისა და ჯართის სახით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე. ამ პუნქტში განსაზღვრული მასალების ფაქტობრივი რაოდენობა დგინდება საზედამხედველო ორგანიზაციის მიერ ადგილზე სათანადო აქტის გაფორმების შემდეგ. მიმწოდებელი ვალდებულია ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული უკან დასაბრუნებელი მასალების მოვლა-შენახვა უზრუნველყოს თავისი ძალებით, მათი სხვა ორგანიზაციის საწარმოო ბაზაზე განთავსებამდე, ან შემსყიდველის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მათი განკარგვის ან გამოყენებამდე.

#	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ღირებულება (ლარი)	სულ ლარი
1	2	3	4	5	6
1					
2					
3					

5.2. შემსყიდველი ვალდებულია შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.

5.3. ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში გათვალისწინებულ საავტომობილო გზაზე მიმწოდებლის მიზეზით მოძრაობის დროებით შეწყვეტისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს და ზიანის წარმოშობის შემთხვევაში მის აანაზღაურებას მიმწოებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯით.

5.4. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველის, მიმწოდებლისა და ხელშეკრულების ინსპექტირების მიზნით შერჩეული სხვა პირების მონაწილეობით ფორმდება შესაბამისი აქტი, სადაც დეტალურად აღიწერება ხელშეკრულების შეუსრულებლობის მიზეზები, რის შემდგომაც შემსყიდველის შეხედულებისამებრ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტირების მექანიზმი. თუ მიმწოდებელის წარმომადგენელი უარს აცხადებს აღნიშნული აქტის შედგენაში მონაწილეობაზე, ხსენებული ფიქსირდება ამავე აქტში და იგი იწვევს იმავე სამართლებრივ შედეგებს, რასაც გამოიწვევდა მიმწოდებლის წარმომადგენლის მონაწილეობით შედგენილი აქტი. სამუშაოების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია თავისი სახსრებით დაუყონებლივ უზრუნველყოს წუნის აღმოფხვრა.

5.5. არაჯეროვნად შესრულებული სამუშაოების დაფიქსირება ხდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ კომისიური წესით შედგენილ აქტში, რის შემდეგაც მიმწოდებელს არ უნაზღაურდება დეფექტებით შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

5.6. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან - შესრულებულ სამუშაოთა წარმოდგენილი მოცულობები, შემსყიდველის მიერ გადამოწმების შემთხვევაში არ შეესაბამება რეალობას, შემსყიდველი სათანადო აქტის შედგენის შემდეგ არ უნაზღაურებს მას აღნიშნულ სამუშაოთა ღირებულებას და განიხილავს მიმწოდებლის პასუხისმგებლობის საკითხს.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

6.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

მუხლი 7. პასუხისმგებლობა

7.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ღირებულების 1% არაუგვიანეს 5 (ხუთი) საბანკო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7.3. ამ მუხლის 7.1 პუნქტის საფუძველზე დაკისრებული პირაგასმატეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს შესრულებული

სამუშაოების ღირებულებიდან დაუკავოს თანხა დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობით და მოახდინოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობით/არაჯეროვანი შესრულებით მესამე პირისათვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს.

7.5. მიმწოდებლის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ქმედებისათვის, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

7.6. ამ ხელშეკრულების საპროექტო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის გადაცემული გარემოზე ზემოქმედების შეფასების, მათ შორის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნითა და გარემოსდაცვის მართვის გეგმის მოთხოვნებითა და პირობებით (მათი არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

7.7. ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1 პუნქტის 5.1.3 ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი და ხელშეკრულებაზე თანდართული სამუშაოების შესრულების გრაფიკით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ამ მუხლის 7.1 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 8. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

8.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარდგენილი საბანკო გარანტია გაცემული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული დაწესებულების (ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულების, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ) მიერ. გარანტიის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას 30 კალენდარული დღით. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ღირებულების -----%-ის ოდენობით. გარანტია უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველი მოთხოვნისთანავე, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მიიღოს შესაბამისი თანხა.

8.2. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია, გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, აგრეთვე შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადაუხდელობისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ, შემსყიდველი ვალდებულია, დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია.

8.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს აამოქმედოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია სრული ოდენობით.

8.5. შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.4. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შედეგად, შემსყიდველი უფლებამოსილია აამოქმედოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო საბანკო გარანტია სრული ოდენობით. ამ შემთხვევაში საბანკო გარანტის ამოქმედება მიმწოდებელს არ ათავისუფლებს შემსყიდველისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისგან.

8.6. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (ფორს-მაჟორული გარემოებები) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

8.7. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შემსყიდველისათვის შესრულებული სამუშაო შესაბამისობაში იქნება ტექნიკურ დავალებასთან, სამუშაოს სპეციფიკაციებთან,

ხელშეკრულების პირობებთან, ასევე ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციასთან.

მუხლი 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

9.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვული სხვა ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. ხელშეკრულების შეწყვეტა ხორციელდება დანართის გაფორმების გზით, მაგრამ მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მიმართოს ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობას.

9.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება:

9.4.1. მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);

9.4.2. მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების ან გადახდიისუუნარობის საქმისწარმოება (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

9.4.3. მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;

9.4.4. მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;

9.4.5. ამოიწურა ამ ხელშეკრულებაზე თანდართული გარანტიით განსაზღვრული თანხა/ვადა და მიმწოდებელმა არ წარმოადგინა ახალი გარანტია;

9.4.6. მიმწოდებელმა განმეორებით დაარღვია ამ ხელშეკრულებაზე თანდართული სამუშაოების შესრულების გრაფიკი;

9.4.7. მიმწოდებლის მიმართ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს;

9.4.8. ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.4 პუნქტის შესაბამისად ჩატარებული ექსპერტიზის შედეგად დადგინდა ცდომილება წარმოდგენილ (გადამოწმებულ) შესრულებულ სამუშაოებზე (ფორმა №2);

9.4.9. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება;

9.4.10. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

9.5. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია აამოქმედოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო საბანკო გარანტია სრული ოდენობით. ამ შემთხვევაში საბანკო გარანტის ამოქმედება მიმწოდებელს არ ათავისუფლებს შემსყიდველისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისგან.

მუხლი 10. უფლებების გადაცემა

10.1. ამ ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

10.2. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

მუხლი 11. ქვეკონტრაქტორები

11.1. მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების ფარგლებში ყველა შესაძლო ქვეკონტრაქტორის აყვანის შესახებ, თუ ეს უკვე არ იყო მითითებული სატენდერო

წინადადებაში. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს ასევე აცნობოს თუ რა მოცულობის სამუშაოები გადაეცემა ქვეკონტრაქტორს.

11.2. ქვე-კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესასრულებელი სამუშაოების მთლიანი მოცულობის 40%.

11.3. მუშაობის პროცესში ქვეკონტრაქტორის შეცვლა, ან დამატებითი ქვეკონტრაქტორის აყვანა ასევე უნდა ეცნობოს შემსყიდველს. მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოს შემსყიდველს მოცულობის რა ნაწილი გადაეცემა ქვეკონტრაქტორს.

11.4. სამუშაოების ნაწილის ქვეკონტრაქტორზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებიდან.

11.5. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას თავის საკვალიფიკაციო მონაცემებით წარმოდგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს წერილობითი სახით და აღნიშნული ცვლილებების საკითხი შეათანხმოს შემსყიდველთან.

მუხლი 12. შეტყობინება

12.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ოფიციალური ელ. ფოსტის (info@georoad.ge) ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ამ ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

12.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინებაში ძალაში შესვლისათვის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 13. კონტროლი (ინსპექტირება)

13.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირებას, მათ შორის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების, ვადების მიმდინარეობის მონიტორინგს ახორციელებს შემსყიდველი და მის მიერ საამისოდ შერჩეული პირი უცხოური საწარმოს ფილიალი „სს ინსტიტუტი იგჰ, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში“.

13.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი (ინსპექტირება).

13.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

13.3. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე. შესრულებული სამუშაოების ტექნიკური მონიტორინგი და ვადების კონტროლი ევალება შემსყიდველის ---------- სამსახურს, ხოლო ფინანსური მონიტორინგი – ფინანსების მართვის სამსახურს.

13.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

13.5. სამუშაოების მიმდინარეობაზე შემსყიდველი აწარმოებს კონტროლს (ინსპექტირებას) „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის შესახებ ინსტრუქციის, საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების, ამ ხელშეკრულების და საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო სამშენებლო და გარემოსდაცვითი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების, სტანდარტების და წესების თანახმად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოების მიმდინარეობა და განახორციელოს ამ ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1. ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე - ხელშეკრულების დანართის გაფორმების გზით, რომელიც მხარეთა მიერ ხელმოწერის შედეგად გახდება ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

14.2. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია ამ ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

14.3. ნებისმიერ ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

14.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

14.5. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.7. მიმწოდებლის სატენდერო წინადადება (----------), თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან (თუ სხვა უფრო კონკრეტული ვადა არ არის განსაზღვრული), მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე – **201_ წლის __ _____ ჩათვლით.**

მუხლი 16. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მის.: საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №12, საიდენტიფიკაციო კოდი 211 343 982, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ბ/კ TRESGE22, ანგარიშის ნომერი 200122900.

ხელმოწერა

მიმწოდებელი:

ხელმოწერა